

572/2
1987

ԳՐԱԳՈՐԾ

1987 ՈՆՅԵՅՆԱԿՈ ՌԻ 1



ჩვენი წამოხსნა

ჯანსუღ ნარკაშიანი

სასხალწლო დღეობი

- ახალი წელი მოვიდა!
- რითი მოვიდა, მარწილით?
- მარწილით არა, ნახირით...
- მარწილით არა, მოვიდა?
- აბა, მაშ რითი მოვიდა?
- ასალთახალი მარწინით?
- მარწინით არა, ბუკინით...
- მაშ რითი, ბურობუნით?
- რბოუნით არა, რბუნით...
- თავად ნახე თუ ვინ ნახს,
- თქვი, მწილად ზომ არ ინახავ?
- მტრევი, რალი მასე,—
- მსოფლიოს ბუჭუნა რამეითი,
- ახალი წელი მოვიდა
- ულამახეტი რაქმით.

ცინა ჰინთავილი

ვიფი

ვითული და ვითული,
ვითული და ვითული,
ცვივა და ცვივა,
სუვიდან ფიფი.
ასე ზაქა და ღამაზები,
მოფარფარებენ, მოიქარინ,
ეჩნება წყნობა მოსწარინო?
ერთურთს არ გგვანს, არა, სრულებით,
ზღაპრად ნახატი სსწაულებით...
თოვლით ამეხსო ხელის გულებით.

1987

18469

ბიზი ბავშვთათვის

ანა და ნამოსხა

ახალ წელს ზეგება ზირეულად
სულ ზაქაჩინა ახლო,
ღიმიით შეჭურვებს ნამოსხეს,
დღეს რომ ბრუნეინავს და ქანობს;
ამდენი მსე და ვარსკვლავი
ნეტავ ვინ შიტიანაო?

ლელია ბარამი

მანბარკუპლი

მანბარკობა ტბილიო
ახალი წლის დღევა
ტული გუიწებს ბრეო,
ვინ დღეგება შინა!
ღიმიით თოვლის ზანა
დღეღეთ დიდის ამბით,
არ დამეღწეს ოღინდ
აღინა ვართ დარდით.
აი, მანბარკობად
ჩიტი ტულევითულია
ჭიჭიჭი—მთაჭიჭიჭებს,
შეწიწით შუღა.
რას ცვისურვებს, ნეტავ
ახალი წლის დამეღწეს—
მეგვიდობის დღეგას,
მეგვიდობის დღეგას!

ათანადილ მამალიაზილი

თიითონას ვამანბარკულა

ქაქათა თოვლის ფანტელით
გვესტუმრა წელი ახალი,
გვეგვანდის წელი ახალი,
დაგვეტოს რეკორტ მუქარი.
ნამოიარა ხურჯინით,
სიფელი, დამა, ქალაქი...
ავგავსო ტბილელულობით,
ქართული მიწის ბარაქით.
მოვიდა, მოგვიალურეს,
ღიმილიანი სისხით,
თუითობაც ვამანბარკულა
შეგვანს ნახვითა.

ქაქათა და მანბარკობა

თოვლის პაპა კეთილა

- ერთ თოვლის პაპას კეთილა ჰქვიანი!
- რა კარგი სახელია კე-თი-ლა!
- ცხოვრობს მაღალ მთაზე.
- ძალიან მაღალზე?
- უუ, იმაზე მაღალი მთა მეორე არ მოიძებნება ამ ქვეყანაზე.
- მეგე, მეგე, ბებია?!
- იმ მთის მწვერვალს ზამთარ-ზაფხულსულ ნისლი და თოვლი ახვევია.
- ნისლი და თოვლი...
- თოვლის პაპაც თოვლივით გათეთრებულია. აცვია ტყავის ქულაჯა. ხელები ქულაჯის სახელოებში აქეთ-იქით ღრმად ქუთუყვია, ზის მთის ფერდობზე მოკვუზული, ბებრულად, მუხლები ნიკაპთან მიუტანია და ჩაფიქრებული გადასცქერის ქვეყნიერებას.
- რას ფიქრობს, ბებია?
- დამაცა, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ. მართო ყური დამიგდე. საფიქრალი, როგორც ყველა ჭკვიან კაცს, ბევრი აქვს. ზოგი რა, ზოგი რა. იმათგან მაინც ერთ რამეზე ფიქრობს.
- მე ვიცი, რაზეც...
- მითხარი!
- იმისთანა რა მოვიგონო, რომ ბავშვები გაეხარო.
- მართალია!
- რით გავგახარებს, ბებია?
- ხო გითხარით, ყური დამიგდე-მეთქი. ზის კეთილა მაღალი მთის ფერდობზე. გვერდით პირმოკრული, სავსე, ჭრელი ხურჯინი აქვს მიდგმული და შუბლშეჭმუნხული, გამაჭრიახი თვალებით ბარისკენ იცქირება.
- იფ, მგონი რეები უწყვია ხურჯინში, არა?
- მაგას მალე გაიგებ. პირში ნუ მიძვრები, თორემ მავინყდება, რას ვამბობდი?
- გამაჭრიახი თვალებით ბარისაკენ იცქირებაო.
- ხო, იცქირება და რას ხედავს: თოვლი ზოგან დევს, ზოგან არა. იქ, სადაც თოვლია, ყმანვილების ზეიშია, ციგურებით და თხილამურებით სრიალებენ. ვის გუნდაობა და ჭიდაობა გაუმართავს. მოკლედ, არიან ერთ ამბავში. მაგრამ სადაც თოვლი არ მოსულა, ბავშვები ცას შესცქერიან, ენატრებათ თოვლი.
- თოვლი არც ჩვენს სოფელშია, ბებია!
- ხო, ეგეთი უთოვლო ზამთარი დაგვიდგა. მერე როგორ სჭირდება თოვლი მინდვრებს! მინა სინისტეს მიღებს, ჯაჯელი ბორჯს გაიდგამს..

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

— მერე, ბებია, მერე?
 — შესცქეროინ ცას გოგო-ბიჭები, თვალს აყოლებენ კუზიანი აქლემივით ზღაზუნია დრუბლებს და ოხრავენ.
 მოიღუშა იმათი მაცქერალი თოვლის პაპა კეთილა. თავს უკმაყოფილოდ აქნევს და ამბობს:
 — მაგრე არ არი, თაყაო, შენ რომ მამული დეაყავო.
 — თაყა ვინლაა?
 — თაყა?
 — ხო, ბებია, შენ არა თქვი, თაყაო?
 — მე ვთქვი, მაშ. თაყაც თოვლის პაპაა.
 — ისიც მთის მწვერვალზე ცხოვრობს?
 — აბა, რა, ოღონდ მისი საბრძანებელი ცხრა მთას იქითაა. დიახ, თავს იქნევს რაღაცით უკმაყოფილო კეთილა და თავისთვის ამბობს: შე კაი კაცო, თაყავ, რა ალაგ-ალაგ მოკითოვია: ბარემ გემრიელად დასდებდი თოვლს, რომ ყველა ბავშვი გაგეზარებინა! გეტყობა, ხურჯინი დაგცარიელებია, ეხლა მე მიყურე, რეებს ვიზამო. წამოდგა ფეხზე კეთილი პაპა. ხელები ქულაჯის სახელოებიდან გამოიღო, მომუჭა და პირზე მიიფარა. ჰუო, ჰუო, მძლავრად დააორთქლა, რომ გაეთბო. ახლა ხელის გულები ერთმანეთს ხერხივით გაუსვა-გამოუსვა და ამის შემდეგ ჭრელი ხურჯინი გახსნა. შიგ ხელი ჩაყო. მაღლა რომ ამოიღო, მუჭა თეთრი ბატიბუტებით ჰქონდა სახვე. მოიქნია ხელი ჰაერში და ის ბატი-

ბუტები თოვლის ფიფქებად იქცა. კიდევ მოიქნია ხელი და ფიფქებს ფიფქები მიემატა. ხელს რომ მოიქნევდა, თან ამ სიტყვებს დაამატებდა: ჩემო თოვლის ფიფქებო, ლამაზ-ლამაზ ფიქრებო, იქეცით ხორბლის ხეავებად, ბაღ-ვენახების ბარაქად, ბავშვების სიხარულად, ანკარა ნაკადულებად და მდინარეებად, ბარაქა, ბარაქაო. მთელი ხურჯინი დააცარიელა. აქეთ-იქით ქნევით კეთილა პაპას მკლაფები დაეღალა, თითებიც დააძრა და ისევ პირთან მიიტანა, ჰუო, ჰუო, დააორთქლა. მერე ისევ გასათობად ქულაჯის სახელოებში შეყო. დაჯდა მთის ფერდობზე და ბარისკენ დაიწყო ცქერა. მოდიოდა და რაა მოდიოდა! იმისთანა თოვას კარგახანია არავინ მოსწრებია. იმ ბავშვებს, თოვლი რომ ენატრებოდათ, უკვე გუნდაობა გაემართათ, თოვლში ჭიდაობდნენ და ყირა-ყირა გადადიოდნენ. მათი მხიარული ყიყინა თოვლის პაპა კეთილას ყურამდე აღწევდა, თვითონაც ხარობდა, კმაყოფილს უღვაშებში ეღიმებოდა.

— ბებია, შეხედე, გარეთ თოვს.
 გარეთ მართლაც თოვდა. თოვლის ფიფქები ჰეპლებივით ეთამაშებოდნენ ფანჯრის დაორთქლილ მინებს.

არც ბებიას და არც მის შვილიშვილს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ის თოვლი მაღალი, ძალიან მაღალი მთიდან კეთილმა თოვლის პაპამ გამოგზავნა.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ამჟამად კვიტაიოვნილი

ახალი წელი ტყაში

ღამით, ახად წვილიწადს, /
 თორმეტი რომ გახვება,
 ნეტავ ყველას განახათ—
 კოჯრის ტყეში რა ხდება.
 გამორბიან ქოხიდან,
 მარდნი, თმახუტუტები
 და ნაძვისხეს ტანმალღს
 ეზვევიან ჯუჯები.
 ათასფერად მოქაჩგულ
 ტუტებს რა არ ჰკივია:
 იქეთ ოქროს თევზია,
 აქეთ—ფერცხლის ჩიტია.
 გოპის გვერდით ნაცარა
 დასკუბულა ბაქია;
 ენას უყოფს ყურცქვიტას
 მაიმუნი პრანკია.
 იქვე კონწიარღებენ
 ციცქნა დათვის ბელები,
 ჩაუბლუჯავთ თათებში—
 ნუგები, ჩურჩხელები...
 კენწეროზე ფაფუკი
 კულით ჩამოკიდული,
 ციფვი გახდავთ ნამვეიდი,
 არ გეგნოთ ფიტული.
 აცოკვებულ ფანტელებს
 შეჰხარიან ჯუჯები,
 ხავსისგან მოქსოვიდი
 აცვიათ ფაჩუჩები.
 ხტიან, კოტრიადებენ,
 იმ ნაძვისხის გარშემო;
 რა ამბავში არიან,
 შეგახვდათ, ბავშვებო...
 თქვენ გღოცავენ: ინარეთ
 ჩვენი მითი და ბარითო,
 ასეთ ახად წვილიწადს
 მრავადს დაესწართო!

ილია ჭავჭავაძე • 150 •



„გუთნის-ღეღა“. „აღე-
გნა“. „პოეზი“. „შახვე-
რა ბაშახაშვიდთან“.
„კაკო ყაჩაღი“. „ბარსი-
ვის ღეღას“. „ბაზაშ-
ხანი“

ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში სწავლობდა, მაგრამ მისი ფიქრი თავს დასტრიალ ე ბ და მშობელ ქვეყანას. პეტერბურგში დაწერილ ლექსში

გლეხი თავის ხარს—ლაბას ეუბნება: მე და შენ ერთ ბედქვეშ ვართ, ორივეს ბედად ეს მიწა გვერგო, ჭაპანი ერთგულად უნდა ვჭიმოთ, ბელტი ბელტზე გადავანვიწიოთ და მიწა შრომის ოფლით მოვრწყათ უსიხარულოდ გავლიოთ წუთისოფელიო. ნუ დამილონდი! შენი უღელი ჩემს უღელზე ძნელი არ არის, მეცა წამართვეს და შენსავით

მხოლოდ მიწას დავყურებ. მერე რა, რომ შენ პირუტყვი ხარ და მე კი მეტყველი? შენ ეგ ნუ შეგპურდება, რადგან მე ხმას ვერ ვიღებ, სიმართლეს ვერ ვამბობ და ჩემი ენა — ჩემი ხმალი სიმართლისათვის დაჩლუნგებულიაო...

ჭაბუკმა ილიამ გადანყვიტა ეს დაჩლუნგებული ხმალი, ანუ ენა, აუღესა და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

ლექსში „ელეგია“ პეტერბურგში მყოფი ილია გვიხატავს სავსე მთავრის მკრთალი ნათელით განათებულ, მძინარე, მდუმარე მშობელ ქვეყანას. არსიდან არ ისმის არც ხმა, არც ძახილი!.. ზოგჯერ მხოლოდ ტანჯვის კენესა თუ მოისმის. ქვეყნის ამ ძილით შეძრწუნებულ ილიას ლექსში აღმოხდება: „სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებო!“ მძინარე სამშობლოზე რომ ლაპარაკობდა ილია, გულისხმობდა თავისი ქვეყნის დაბეჩავებას, თავისი თანამოქმედების უმოქმედობას, და უნდოდა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმის საკეთებლად მათი გამოღვიძება.

ხალხი პოეტმა უნდა გააღვიძოსო, სჯეროდა ჭა-

ბუკ ილიას და პეტერბურგში დანერგულ ლექსში ამბობდა: პოეტი ამ ქვეყნად იმიტომ კი არ მოდის, მხოლოდ ტკბილი ხმით იმღეროს, იგი ერს წინ უნდა გაუძღვეს, ჭირშიც და ლხინშიც ერის მოძმე უნდა იყოს; ერის წყლული მასაც წყლულად უნდა აჩნდეს, მისი ტანჯვით სული ეწვოდეს, მტკიცე გული მისი ბედითა და უბედობით დაედაგოს; და რაც მთავარია, პოეტი მოვალეა, ერს ტანჯვის ცრემლი მოსწმინდოსო.





იმხანად დიდი უსამართლობა იყო ბატონყმობა. ილიამ თქვა: ბატონყმობა უნდა მოიხსოსო. ბატონი ვერ უნდა მოექცეს ყმას ისე, როგორც მას მოესურვება — თუ უნდა მოკლავს, თუ უნდა, გაყიდისო...

უნივერსიტეტის მეორე კურსზე, პეტერბურგში, ილია ავად გამხდარა, ფილტვები დასუსტებია, ექიმების რჩევით დროებით საქართველოში გამოემგზავრებულა და 1858 წლის ზაფხული ყვარელში გაუტარებია.

ყვარელში ყოფნის დროს ილიას ყაჩაღი კაკო გაუხარაშვილი შეხვედრია. ამ კარდანახელ გლეხს თავისი გაულქვა ბატონისათვის თოფი უსურია და ტყეში ყაჩაღად გავარდნილა.

ერთხელ თურმე ილია

კობტა აფხაზის ოჯახში მიდიოდა კარდანახში, თან ახლდა ერთი ბიჭი, უცბად, ერთ ალაგას, წინ უდასდგომია შეიარაღებული კაცი, შეუჩერებია და ვინაობა უკითხავს. გვარი რომ გაუგია, უთქვამს, ჭავეჭავეძეს კარდანახში რა უნდაო. ილიას თანმხლებ ბიჭს უპასუხია: კარდანახში თავის ნათესავ აფხაზთან მიდიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი ძირს დაუშვია, ილია მიუწვევია და კარგადაც გამასპინძლებია. კობტა აფხაზი მოგვითხრობს: ილია ჩვენთან რომ მოვიდა, ნასვამი ბარბაცებდა და ენის ბორძიკით გაიძახოდა: „დამაძინეთ, დამაძინეთ!“ მეორე დღეს თავის თავადასავალი გვიამპო და გვითხრა: გაუხარაშვილი სულ ბატონებს აგინებდაო. ყაჩაღთან ამ შეხვედრამ დაა-

წერინა ილიას პოემა „კაკო ყაჩაღი“.

პეტერბურგში მყოფი ილია სიყვარულით აცოცხლებს მშობლიური ქვეყნის სურათს: ცაზე მეფურად მავალ მთვარეს, მთვარის სხივებზე აკაშკაშებულ კავკასიონის თოვლიან მთებს, ალაზნის ჩაძინებულ ველს და ალაზნის ბუტბუტს, რომელსაც მდუმარე მთები ყურს უგდებენ.

მხოლოდ ერთგან მოჭრიალებს მძიმე ურემი და მეურმე ნალღვიან სიმღერას ღლიინებს. ამ დროს უეცრად ტყიდან ცხენი ისკუაებს და მხედარი მეურმეს თამამად შეეკითხება: „ჟუდი-გორის გზას ვერ მინასწავლიო?“

როგორ ვერ მიგასწავლიო, — უპასუხებს მეურმე — იმ მთას მარჯვნივ აუხევე, ხევს გახვალ, საურმე გზა დაგხე-

დბა, იმ გზას დაადგები და ცხვირნამონდელილი მთა რომ შეგყევბა, კული-გორა ის იქნებაო. შენ იქ რა გინდა? იქ ბლაჭიაშვილია და თავი თუ არ გებრალე-ბა, იმას ნუ დაენახვები, ტყვიასავით მალთა და ტყვიასავით დაუნდობე-ლიო.

მხედარი მეურმეს ეტყვის: შენ ფიქრი ნუ გაქვს, მეც იმას ვეძებ, როგორც ის ცხოვრობს, დღეიდან მეც ისე უნდა ვიცხოვროო. ამას ეტყვის თუ არა, ცხენს უცებ მოსხლიტავს და გაფრინდება...

აი, ასე იწყება პოემა. ვინ არის ის მხედარი, ყაჩაღის ბედი რომ უნდა გაიზიაროს, ხოლო როცა ბლაჭია-შვილი გამოჩნდება, ეუბნებ-ბა, შენი სახელი ბავშვმაც კი იცის, მე შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა მინდაო?

ის მხედარი ზაქროა, ბატონის ყმა. ზაქრო თორმეტი წლისა იყო, ბატონმა მამის სახლ-კარს რომ მოაშორა და თავი შროხაში უკრა. სანამ ის ბატონის ძროხებს მწყემსავდა სხვა

ბიჭებთან ერთად, რვა წელმა გაიარა, მამამისი დაბერდა, ძალა და ღონე წაერთდა. ერთხელ ზაქროს მამა გულქვა და რეგვენ ბატონს ეახლა და შევევდრა: შვილი დამიბრუნე, ოჯახი მერღუპებაო. ბატონი ეტყვის: მერე მე რა ვქნა, თუ გინდა სულიც გაგძვრო-მიხო, შე ქოფავო, ხმა გაიკმინდეო! ბიჭებს როზგით აცემინებს მოსუცს და დაუძღწერებულს სულს ამო-დის. ზაქროს თვალთ დაუბნელდება, გამწარებული თოფს მივარდება და ბატონს გულის ფიცარს შეუნგრევს. აი, ასეთი გამწარებული კაცია მოსული კაკო ბლაჭიაშვილთან. ქართველი გლეხი ბატონის გულქვაობამ ისეთ დღეში ჩააგდო, რომ სახლ-კარი მიატოვა და ტყეში გავარდაო, გვეუბნება ილია ჭავჭავაძე. განა შეიძლება ასე გაგრძელდეს, ბატონყმობა უნდა მოისპოს, ყმები უნდა განთავისუფლდნენო. ილიას ეს პოემა პეტერბურგში დაინერა 1860 წელს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ — 1864 წელს — ბატონყმობა გადავარდა.

პეტერბურგშივე დაწერა ილიამ ლექსი „ქართველის დედას“. ამ ლექსში იგი საქართველოსა და მისი შვილების მომავალზე ლაპარაკობს. რა ელის მათ ხვალ? რა უნდა გააკეთონ, რომ ხვალინდელმა დღემ დღევანდელს აჯობოს და საქართველომ თავისუფლება ნახოს? მისმა შვილებმა ძველ დიდებაზე აღარ უნდა იტირონ, იყო-და აღარ არისო. წარსულზე დარდი მომავალზე ფიქრით უნდა შეცვალონ...

ილია ქართველ დედას ეუბნება: შვილი ისე აღზარდე, რომ კაცი შმად მიაჩნდეს, კითილი იყოს, თავისი სამშობლო უყვარდეს და მისი თავისუფლები-სათვის თავს სწირავდე-სო. პეტერბურგშივე დაწერილ ლექსში „გაზაფხული“ ილია აკვიწერს გაზაფხულის სურათს და ბოლო ორ სტრიქონში მოლოდინით კითხულობს: „მამულო, საყვარელო, შენ როსლა აყვავდებიო?“

აი, ამ ფიქრით გამოეშურა ილია საქართველო-საკენ 1861 წლის გაზაფხულზე.



.....
ატი უნდა კაცად იფვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.



ილუმინაციები და მუსიკა და
-ის "სახელები, რომელიც იხილეს, იყო
ფორმის

ნეკოდენა

ცხოვრობდა ორი ძმა.

უფროსი ძმა ტანმორჩილი იყო, უმცროსი ძმა — კიდევ უფრო პატარა. პატარაობის გამო უფროს ძმას ცეროდენა შეარქვეს, უმცროს ძმას კი — ნეკოდენა. ცეროდენა იმდენად იყო დიდი ნეკოდენაზე, რამდენადაც ცერია ნეკოზე დიდი. ნეკოდენაც იმდენად იყო პატარა ცეროდენაზე, რამდენადაც ნეკია ცერზე პატარა.

გათენდებოდა თუ არა, ჯერ ცეროდენა იღვიძებდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ნეკოდენა გაახელდა თვალებს.

— აბა, შეიღებო, გაიღვიძეთ, დროაო! — შემოიხედავდა დედა. ცეროდენა წამსვე წამოხტებოდა, ერთს გააზმორებდა და მაშინვე დილის ფარჯიშს შეუდგებოდა, ნეკოდენა კი, ნურას უკაცრავად, ყურსაც არ გააბარტყუნებდა.

დედა იფიქრებდა, მოდი ერთი, ამ ეშმაკის ფენს საბანს გადაეხდი, ვნახოთ, მაშინაც თუ არ ადგებო. მართლაც, გადახდიდა საბანს,



მაგრამ რად გინდა! ნეკოდენა არსად ჩანდა. თურმე ის ეშმაკი საბნის ნაოჭში ძვრებოდა და იქ ემალებოდა დედას, იქნებ ცეროდენაზე ცოტა მეტი ვიძინოო. ყოფილა შემთხვევა, დედას ბალიშის ქვეშ დამალვია. ერთხელ მუთაქის ყურში შეძვრა და იქ გაირინდა. მე შენ გეტყვი და ვერ შეიტყოდა! — აკი გითხარით — ნეკისოდენა იყო, არც მეტი, არც ნაკლები. ამიტომაც შეარქვეს ნეკოდენა.

გააწყობდა დედა საუზმეს და ე, მაშინ გამოძვრებოდა ნეკოდენა, ღმერთმა იცის, საიდან — ხან საბნის ნაოჭიდან, ხან მუთაქის სარჩულიდან, ხან ბალიშის ყურიდან, ხან საიდან და ხან საიდან. გამოძვრებოდა და მაშინვე მაგიდას მიუჯდებოდა, თუმცა რას ვამბობ — სად იჯდა, ამას მარტო ხმით თუ მიხვდებოდა კაცი, საიდანაც ხმა ისმოდა, ალბათ იქ იჯდა, თორემ დანახვით ძნელად თუ დაინახავდი, ისე პატარა იყო ჩვენი ნეკოდენა.


ჭამა იცოდა და მერე რა ჭამა! — სანამ ცეროდენა ერთ ლამბაქ რძეს დალევდა, ნეკოდენას ორი ჭიქა ჰქონდა დალუული. კარაქიან პურსა და ყველს ხომ ნულარ იტყვით! მოიხედავდით და თევშები დაცარვილებული იყო. კაცი არ ჩანდა, მარტო „მშია-მშია“ ისმოდა.



— რძე აღარ არისო? — იკითხავდა.
დაუსამდნენ და გააქრობდა.
— პური აღარ დარჩაო? — იკითხავდა.
დაუხვავებდნენ წინ და გააქრობდა.
— კარაქი გავგითავებო? — იკითხავდა.
მოიტანდნენ და გააქრობდა.
— სოსისი ცოტა მეტი ვერ ჩაყარეთო?
მოუტანდნენ და გააქრობდა.

სად მიდიოდა ეს ამოდენა ხორაგი, არავინ იცოდა! ნეკის ხელა იყო ნეკოდენა და სპილოს ულუფას კი მიირთმევდა. ერთი მაცივარი სულაც თავისთვის ედგა, მარტო თავისთვის. რა გინდა, სულო და გულო, შიგ არა ჰქონდა.

ნეკოდენას მაცივარი
არ შინახავს ცხრიელი;
ძეხვი — მხოლოდ მოსკოფური;
ფეფელი — შვეიცარიული;
სულგუნები — სულ მეგრული;
„პეპსი“ — ცივი;
„პიტნა“ — გრილი;
მურაბები — მხოლოდ კაკლის;
ვაშლის ჩირი;
კიტრის მწნილი;
სელიპავს მაწონს,
სელიპავს ღოსა,
არა ჰეთონის
ათი ღოსა!
— ნეკოდენა, შე მსუნავო,
სად უტყუა ამდენი?
— ჩამეტყუა? ჩამეტყუა!
არ ჩავა და — ჩავტყენი!




მოკლედ, გამოალებდა მაცივარს... თუმცა რას ვამბობ — კაცს ასე გეგონებოდა, მაცივრის კარზე თავისით გაიღოო — ნეკოდენა არ ჩანდა — ხან ყველი ეფარებოდა, ხან ძეხვი, ხან რა და ხან რა, გამოიტიანდა მაცივრიდან სასუსნავს, დაჯდებოდა და მოუღხენდა.
დედას, მამას, ბებოს და ბაბუას უხაროდათ, კიდევ კარგი, ამის ჭამა მაინც არა გვაქვს სადარდებელიო, ზოგიერთი უზნეო ბავშვივით ხვენწა არა სჭირდებაო, გემრიელი სმა და ჭამა იცისო!

კოკა-კოლას სვაშდა კოკით,
 ლაღის წყალს სვაშდა ჩაფით,
 ვერ ძღებოდა ბიჭი სმით და
 ვერ ძღებოდა ბიჭი ჭამით.
 სხვა თუ სვაშდა ერთი ჯამით,
 იგი სვაშდა ათი ჯამით!—
 ვერ ძღებოდა კაი სმით და
 ვერ ძღებოდა კაი ჭამით.

რა თქმა უნდა, ჭამდა დღისით,
 რა თქმა უნდა, ჭამდა ღამით!
 საფსე ჭქონდა ჯიბეები
 ნუგითა და შაქარლამით.
 სულ ეჭირა ხელში ვაშლი,
 ან ფურმენი, ან ატამი.
 რაღა ბეერი გაუგარძელო—
 ვერ ძღებოდა კაცი ჭამით.
 ნუგბართ და მწიფე ხილით
 საფსე ჭქონდა მუდამ ჩანთა,
 ოღონდ ჩანდა მხოლოდ ჩანთა,
 ნეკოდენა—არა ჩანდა!
 აქეთ—თვალი,
 იქით—თვალი,
 აქეთ—ურჩი,
 იქით—ურჩი.

გამაცხუეს კვირა დილით
 მთვარისხელა საჭაზური.
 ნეკოდენა ცეროდენას
 დაემაღა საჭაზურში!
 სუფს ჭამს—მოჩანს მხოლოდ
 სუპი.
 ბორშის ჭამს—მოჩანს
 მხოლოდ ბორშნი!



ვეელი მინდა ერთი წველა.
 ცოტა კიდევ მრცხუნია და
 ცოტა კიდევ მერიღება,
 მაგრამ მაინც უნდა ვჭამო,
 დელი-დელა! დელი-დელა!
 არ მჭირდება ჩანგალი და
 არ მჭირდება თქვენი დანა!
 ვეულამ იცის, ვენაცვადე,
 ხელით რომ ჭამს ნეკოდენა!
 მიუვარს კვერცხის მხოლოდ

კული,
 სულ არ მიუვარს კვერცხის
 ცილა!

ცილაც ასე მევარებოდა—
 ვიქნებოდი ღორმუცელა!
 მე კი არ ვარ ღორმუცელა!
 მე განლავართ გოჭმუცელა!
 ერთი დიდი ჭადი მეოფნის,
 ვველი კიდევ—ერთი წველა!
 ჩემი მძა ცეროდენა!
 მე განლავართ ნეკოდენა!
 აბა დელი ოდელია!
 დელი-დელა, დელი-დელა!

კარგად რომ დანაყრდებოდა, ნეკოდენა
 სიმღერას წაიღიღინებდა:

მე არა ვარ ღორმუცელა,
 მე განლავართ გოჭმუცელა:
 ერთ ჭამასე—ერთი ჭადი,

ჩემი პირველი მკაცრი ახალი წელი

მე მკაცრი მკაცრი სახედავ,
 ვარ მკაცრი წლის და ხუთი თვის.
 ვიცი ცეკვა და სიმღერა
 და კიდევ—დექი ურიცხვი,
 უკვე გამიცნო ცისკარმა,
 მთამ, ვედმა, ზღვამ და ვენახმა,
 მე კი სულ მქონდა ოცნებად
 შენი სტუმრობაც მენახა.
 წინათ, როდესაც ხალხისით
 გელოდა მთელი სამყარო,
 მე მუდამ ადრე მაწვენიდენი,—
 ჯერ დიდი გოგო არ ხარო!
 მაგრამ წელს ტკბილმა ბებიამ
 თქვა: „მეც გთხოვთ, რა იქნებაო!“
 დღეებანი იმსჯელებს და ბოლოს
 გადაწყდა „დავრთოთ ნებაო!“
 — ვაჰა!— შემოვკარ ტაში და
 გულში ამენტო მზის სხივი.
 ნაძვის გარშემო კარგა ხანს
 დაეჭირილებდი ფიქტოვით.
 მე რე დექსებიც რომ ვუთხარ
 თოვლის კაცს, ბამბონწვერებას,

ჩემს დედისგან გავვარდი
 საქმეში მისაშველებლად.
 მაგრამ გავოცდი, მას უკვე
 გაეწყო დიდი მაგიდა,
 ტკბილუღობა იმდენი,
 სული და გული, რა გინდა!
 აღბათ დედისგან საქმეში
 ჩემმა სიმღერამ უშვედა.
 მოკვდი ამგვარი მოღმერთი
 „დავასაჩუქრე“ სუყველა...
 ცოტა დაღდა კი ვიგრძენი,
 ჩუმად რომ გითხრათ მართალი
 და მაინც შენს მოზრძანებას
 ველოდი გულისფანცქალით.
 თუმც ჩემს გასაჭირს ყველასგან
 გულდაგულ ისევ ვფარავდი.
 და მერე იცი, რა მოხდა...
 გთხოვ, არ გაიგოს არავინ!
 როცა სუფრასთან დავსხვიდი
 მე, დედა, მამა, ბებია...
 გამხვდაც მიტრის... სირცხვილი!
 სკამზევე ჩამძინებია.





ბებია ინანიშვილი

სამიწის პოეზია

ნოემბრის ბოლო იყო. ტყეში ხეების უმეტესობას ფოთლები დასცვენოდა. ბაღახეობი კი აქა-იქ მაინც მწვანედ გამოიყურებოდა.

ორ დღეს გაბმით წვიმდა, წვიმდა რისხირის წვრილი წვიმით, თან რაღაც მიმე, ცივი ნიავეც მოდიოდა.

მესამე დღეს გამოიღარა. ცა მოინმინდა, მთების წვერებამაც ჯაწლი გადაიყარეს და ყველას სმამალლა აღმოხდა:

— თოვლი! თოვლი მოსულა!

უტყყო მწვერვალები თეთრად გადასაქტაკებულიყო, ცოტა დაბლა, ტყიანები, შეჭალარავებულყო. მზე რომ ცოტა მომძლავრდა, ხეებზე შერჩენილმა ფოთლებმაც ცვენა დაიწყო. წყნარი წკაპანკაპით ცვიოდა წინიბოებიც ნივლებიდან, უფრო მეტი ხმაურით — რკოები მუხებიდან.

იმ დღის დადგომას მაინც მხიარულად შეხვდნენ ფრინველები. სკვინები ჩამოცვენილ ყვითელ ფოთლებში დაბიჯებდნენ და რალაცვებს უნისკარტებდენ, ნივინები ფუტუროებს დაჰკიდებოდნენ, ბოლოცეცხლები ცნობისწადილით თრთოდნენ, ჭინჭრაქები გამომართებული ხეების კენწეროებზე ისხდნენ და გატაცებით გალობდნენ.

შემომიბალლა მელორემ უტყყო ბორცვზე, შერია ჯაგარა ღორების კოლტი ტყეს, გემრიელად მიათქაფუნებდნენ რკოებს; წინიბოებს, პანტას და მაუხლოს. მელორე დასძახოდა, — გეუუუ!.. გეუუუ!.. ღორები ამ ხმაზე თავებს მალლა სწევდნენ, დააყურადებდნენ და მერე ისევ გემრიელ თქაფათქუფს განაგრძობდნენ.

გამოვიდა ფულუროდან კარგად ჩასუქებული ბაბლანა თავიც, მზემ თვალები მოსჭრა, დახუჭა და გაახილა, დახუჭა და გაახილა. იჯდა და კმაყოფილებით იმერდა მზისკენ ცხვირს. მერე ხიდან ჩამოვიდა, ცოტაზე სველ ფოთლებზე გაიქცა, მერე გზის პირის კბოდის მშრალ ძირს გაჰყვა. იმ კბოდის ძირზე სულ ფესვები იყო გადმოგრეხილი. მიიღოდა ბაბლანა წმინდა ნაშალზე, ფეხები მიწაში ეფლობოდა. იარა, იარა. ისევ სველ ფოთლებზე გადავიდა. იქ რამდენიმე წინიბო განიწვანა. შესცივდა, უკანა ფეხებზე ჩაჯდა, წინანი ილიებში ამოიწყო. რამდენჯერმე შეისრუნტა. გამობრუნდა, ისევ თავის ფულუროში ავიდა, ცოტა ხანს შიგნით იყო ნახევრად მიწოლილი, დაფიქრებული, მერე ისევ გამოვიდა, დაჯდა ფულუროს პირას, მზეს სველი მუცელი მიუშვირა, თვალები დახუჭა.

ის დღე სულ მოწმენდილი დაღამდა. კარგად არც კი იყო დაღამებული, დათოვლილი მწვერვალებიდან დიდი, მრგვალი მთვარე ამოვიდა. მწვერვალებს ოქროს ფერი დაედო. მთვარე თითქოს დადიდებული თვალეობით დასცქეროდა დედამიწას. ნიავე ახლაც მოდიოდა, ახლა შეუმჩნეველი, მაგრამ უფ-

რო ცვი. შუალამისთვის ის ნიავიც ჩადგა.
მთავარ გათენებამდე ჩავიდა, ერთ ხანს
ჩამოხუნვდა, მერე გათენდა. გათენდა და
საოცარი სანახაობანი გადაიშალა. მთელი
დედამიწა გადაჭირხლულიყო. მიწვრები
თეთრად ბრწყინავდა. ხეებიც თეთრი ტოტე-
ბით შესწვედნოდნენ ცას. თეთრად ბრწყინა-
დნენ ჩამოცვენილი ფოთლებიც.

18 469

იმ დღეს კიდევ უფრო დიდი ყრიაშული
ატეხეს ფრინველებმა. წიგნივეები ფრთების
ფართალთ იძახდნენ: — ზამთარია! ზამთა-
რია! სკვინჩებიც ჩასძახოდნენ ფოთლებს: —
ყინვაა, ყინვა! ბოლოცეცხლები აშკარად
ცახცახებდნენ ზამთრის შოშოში. შო, მარიალა,
შაშვები დაგავიწყდა! ისინი თითქოს საგან-
გებოდ მიფრინავდნენ გაკირხლულ ხშირ
ტოტებში და ყინულის წვრილ ნემსებს წვი-
მასავით აფრქვევდნენ დედამიწას. ჭინჭრა-
ქები კიდევ — უფრო გატაცებითაც კი გა-
ლობდნენ, ვიდრე წინა დღეს. ჭკვიანი სკვინ-
ჩები ამბობდნენ, — გაზაფხულის ყვევილობა
შგონიათ მაგ სულელ ჭინჭრაქებს და იმი-
ტომ არიან ასე მხიარულად.

გამოვიდა ფულუროდან ბაბლანა თავიც-
ახლა მიდამოს სითთერემ მოსჭრა თვალეები.
დახუჭა, გაახილა, დახუჭა, გაახილა. სიზმა-
რივით ლამაზი იყო ყველაფერი, ისეთი ლამა-
ზი იყო, ცოტა რომ არ გაეგლო, არ შეეძლო.
ჩამოვიდა ხიდან, გაიქცა ჭირხლმოდებულ
ფოთლებზე. სადაც ფეხს დაადგამდა, იმ ად-
გილას წამსვე დნებოდა ჭირხლი. გაუყვავა გუ-
შინდელ გზასაც, კბოლის ძირას ირბინა, ირ-
ბინა. ერთი დიდი მნიფე შინდის გაცუცნა, მე-
რე წინიბობებიც გაფქვა. დააძრა ფეხები
ცხვირიც. გამოიქცა. ავიდა ხეზე, შევიდა ფუ-
ლუროში, იქ რბილ ბალახებში და ხავსებში
ჩანვა, ჩათბა, ჩასთვლიდა. გამოაჭყიდა თვა-
ლი, გამოვიდა ფულუროს პირას, იჯდა, გაი-
ყურებოდა თითქოს თვლემამორეული.

— ზამთარი მოვიდა, ზამთარი! — დასძახა
წიგნივამ.

გამოფხიზლდა. მალე ისევ თვლემაში წა-
ვიდა.

— ყინვაა, ყინვა! — გადაუფრინა სკვინჩამ.

— შენც აქა ხარ?! შენც აქა ხარ?! — გაი-
კვირვა შაშვმა.

ბაბლანა შეწუხებული ახამხამებდა თვა-
ლებს, მიბრუნდა, ერთიც გამოიხედა:

— თქვენ იჩივლეთ, ქარიხვეტიებო! თქვენ
იჩივლეთ, სტუნებიო!

წავიდა, ღრმად შეძვრა ფულუროში, გაეხ-
ვია ბალახებში, ჩათბა.

— ჩიტებმა იჩივლონ, ჩიტებს ეშინოდეთ
ზამთრისა, ჩემთან ტკბილი ძილი მოდის.

ფულუროში თავზე საყრელად ჰქონდა ზამ-
თრის სარჩო.

— ტკბილი ძილი... მოდი... ალალო... ალალო...
მოდი...

და უკვე ეძინა.
ორიოდე დღეში დიდი თოვლიც მოვიდა,
მაგრამ ეს უკვე ბაბლანას აღარ უნახავს. მას
ტკბილად, ტკბილად ეძინა...



აიქ. სსრ-კ. შარკის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მხატვარი ელზარდ ამოიაამ

მისეილ ბავაშული

მისარბთი

ყვავიღმა ნაზმა, ღურჯთვადამ
ვაჟღამაზა გვარი,
სუსხიან ზამთრის შუა თვედ
ითვღება

ჩიტი იზბადებს საძირკვეს,
ხეში ჩამდგარა წყადი,
ვინ უსწრებს გაზაფხულის თვეს
ზეიმით

ზან ტირის, ზან კი იცინის
კეტი და უკულმართი,
ყოველთვის ცრემლმოციმციმე
და მობუზღუნე

ამვლბს ურიცხვი ყვავილი,
ცვარ-ნამი ჰქვინდზე დაყრილი,
სურნელღვანი, ცქრიალა
ასეთი არის

აქვს ერთნაირად საამო
აოსიცა და დაოსიც,
პატარებს რომ მოგვესადმოს,
ღროშებს მოარხვეს

სიკეთისა და მშვიდობის
თბილი გულით და თბილი მბით...
მომავლის საკეთილდღელოდ
ზაფხულს კარს უღებს

მთაში, ბარში თუ ზღვისპირას
რამდენჯერ დაგვევა, ვინ იცის,
გაყვითლდა ყანა ბიბინა
და სამკაღს იმკის

დაშაქრებული ნაყოფით
უნდა ბალეზი აგვეღვოს,
ღაფღაფა მბით დაფერილი
ზაფხულს აციღებს

დასვენებას მოვრჩი უკვე,
სკოლისაკენ ჰერი-ჰერი!
სწავღასა და შემოდგომას
ერთად იწყებს

მოშრიად რცხილებს, მუხებს
რომ გადაჰკრავს ოქროსფერი,
ხელუხვი და კალთაუხვი
მოზრძანდება

ზეიმს იხდის კვირისთაგზე,
დიდ-პატარა ვიღუნთ, ვმღერით,
და ცივ ზამთარს ხვედა ასე
წვიმიანი

შემოგვმატებს კიდევ ერთ წელს
თვე ჰევიანი, თვე ბებერი,
წელს ამთავრებს, ზამთარს იწყებს
სუსხიანი

გამოსანა

სოფთა ამირანაშვილი

უსივრი ტყიდან
დიდ ღარბაზში მოხვდა
და ზურმუხტის მხრები
მოიკაზმა კოსტარ.

შატავარი ბასო ხიდაშელი

ჭიქა

საქართველოს ალკე ცკ-ისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-
თა ორგანიზაციის რესპუბლიკუ-
რი საბჭოს უფრწალი უმცროს-
კლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობა.

შთავარი რედაქტორი
ანჰერ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: მღუმარ ლაშქ-
ბაძე, მანანა ხუთაძე, ლაშარა გა-
ბაძე, მირი ღვინთაშვილი, სოლო-
მონ ღვარცხანაშვილი, ლეონი-
და ირაძე, გილა ლოსაბერიძე, მანაშა
მრავლიშვილი, ჯურჯა ნაღრიძე,
გიორგი გომიშვილი (სამხატვრო
რედაქტორი), თინათ ზალაქიძე (პე-
დაგოგი), გივი ანაბაძე, გივი შიშ-
ინაძე, მარინა ხარბიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

შიშარაძე: რედაქციის, გამომცემლობის,
სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.:
მთ. რედაქტორის 98-41-80, 98-98-15;
პედაგ. მდივნის 98-10-82, 98-98-18; საშ. რედაქტორის — 98-98-18; განყოფილ-
ებების: 98-98-19; 98-98-17.


გადაცემა ასწუხად 12. 11. 86 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 14. 01. 87 წ.,
ქალაქის ზომა: 60×90¹/₂, ფიჭ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა
2627.

ელაზე ნახატი სომეხი
პინურაშვილისა

«Дила» («Утро»), ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-
зинского Республиканского Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина для младшекласс-
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишара-
дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства.
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ № 2627



ნანა იოსელიანი

ამ ნახატებს შორის მონახეთ 15 განსხვავება.

